საექსპერტო დასკვნა

საცხოვრებელი კომპლექსის ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. №10-ში, კომპლექსის პროექტების კონსტრუქციულ ნაწილზე.

ქ.თბილისი 11 თებერვალი 2016 წ.

შ.პ.ს. „იუნიქს 2“-ის დირექტორს ბ-ნ ზურაბ ვარსიმაშვილსა და შ.პ.ს ”მშენაღდგენა/მ”-ის გენერალურ დირექტორს მალხაზ ბედიაშვილს შორის 2015 წლის 12 ოქტომბერს ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.№10-ში, საპროექტებელი საცხოვრებელი კომპლექსის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზაზე.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. „სეისმომედეგობა“-ს მიერ 2015 წელს.

წარმოდგენილია ერთი ალბომი 199 ნახაზის შემადგენლობით და შენობის სტატიკური და დინამიური გაანგარიშება.

მთლიანად შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა და შედგება “A”, “B” და “C” ბლოკებისაგან.

”A” ბლოკი 15 სართულიანია, ზომებით 17,7მX28,8მ, “B” ბლოკი ზომებით 17,7მX62,4მ სართულების რაოდენობა 15 და 18, ხოლო “C” ბლოკის ზომებია გეგმაში 17,7მX57,6მ (ღერძებში) 18 სართულით. ყველა კორპუსს გააჩნია სარდაფის სართული.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად (შემსრულებელი შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“ საძირკვლის ფუძედ მიღებულია მოყვითალო-ყავისფერი, თაბაშირის ბუდეების შემცველი თიხები, რომელთა საანგარიშო წინაღობა R_o=300 კპა (3,0კგძ/სმ^2), პუასონის კოეფიციენტი M=0,42; შინაგანი ხახუნის კუთხე φ=19°05^1.

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, რადგან არახელსაყრელ ფიზიკურ-გეოლოგიურ მოვლენებს ადგილი არ აქვს.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედნის სეისმურობა 8 ბალის ტოლია (ᲡᲜ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“).

გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმეზე არ გამოვლენილა.

შენობის საძირკველი წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის ფილას A ბლოკში 100სმ სისქის, ხოლო B და C ბლოკებში 120სმ სისქისა. ფილები სრულდება B20 კლასის ბეტონისაგან.

საძირკვლის ქვეშ, ბეტონის მომზადებამდე იყრება მდინარის ბალასტი 130სმ სიმაღლეზე. ბალასტი იტკეპნება 20-20სმ ფენებად ვიბროსატკეპნის საშუალებით, გამკვრივების კოეფიციენტი K=90-95%-მდეა.

ასეთი მეთოდით გამკვრივებული გრუნტისათვის (დატკეპნილი ბალასტი), დეფორმაციის მოდული მიიღება E=42კპა (420 კგძ/სმ^2), ხოლო პირობითი საანგარიშო წინაღობა R_o=400 კპა (4,0კგძ/სმ^2).

დატკეპნილ ბალასტზე, საძირკვლის ქვეშ ეწყობა 20სმ სისქის ხრეშის ფუძე და 10სმ სისქის ბეტონის მომზადება, კლასით B7,5.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი ჩარჩო-კავშირებიანი სისტემით.

კარკასი-მისი ელემენტები: კოლონები, რიგელები განივი და გრძივი, გადახურვის ფილები, სიხისტის დიაფრაგმები სრულდება მონოლითური რკინაბეტონისაგან, ბეტონის კლასით B 22,5.

არმატურად გამოიყენება ლითონები A240, A500C კლასის, ფოლადის მარკით $Ст3_{пс}$ და 25Г2С.

კარკასი შესრულებულია მალებში: 720სმ გრძივი მიმართულებით და 555+660+555სმ განივი მიმართულებით.

ნაგებობის მდგრადობას უზრუნველყოფს, როგორც სეისმურ, ისე ქარის ზემოქმედებაზე, კოლონებისა და ვერტიკალური დიაფრაგმების ერთობლივი მუშაობა ჰორიზონტალურ დიაფრაგმასთან-გადახურვების მონოლითურ სისტემებთან ერთად.

ქვემოთ განვიხილავთ კონსტრუქციული ელემენტების კვეთებს და მათ არმირებას.

- საძირკვლის ფილები დაარმატურებულია ქვედა შრეში Ф14A500C არმატურით და დამატებითი არმატურის ბადეებით Ф16A500C-დან Ф25A500C-მდე დიამეტრით. შესაბამისად 20-20სმ ბიჯით, კოლონების განლაგების ზონაში.
  ზედა შრეში ასევე დაარმატურებულია Ф14A500C და Ф25A500C არმატურით.
- სარდაფის კედლები, რომლებიც სარდაფის კონტურზეა განლაგებული, დაარმატურებულია Ф12A500C და Ф18A500C არმატურით ბიჯით 20სმ. მონოლითურის კედლების სისქე 30სმ-ია, რომელსაც გარედან გასდევს ჰიდროიზოლაცია.
- **კოლონების** კვეთია 60სმx60სმ პირველ 12 სართულზე და 50სმx50სმ 13-18 სართულებზე.

მონოლითური კოლონები დაარმატურებულია ქვედა სართულზე 12Ф25A500C არმატურით, ხოლო ზედა სართულებზე 8Ф22A500C და 4Ф16A500C -მდე.

საკიდები სვეტებში მიღებულია 10სმ, 20სმ და 30სმ ბიჯით და Ф8A240C კლასის არმატურითაა შესრულებული.

რიგელები განივი მიმართულების გაერთიანებულია მონოლითურ გადახურვებთან, სიმაღლით 60სმ, ხოლო სიგანე 30სმ და დაარმირებული არიან გრძივი ორ და ოთხჭრადი საკიდეიბთ, დიამეტრით Ф8A240C.

გრძივ რიგელებში მუშა არმატურა A ბლოკში მიღებულია Ф16A500C , ხოლო B და C ბლოკებში Ф16A500C და Ф25A500C დიამეტრით, მალში 2-დან 4 ცალამდე. საყრდენზე მიღებულია ასევე 2-დან 4-მდე Ф12A500C კლასის არმატურა.

გრძივი რიგელები კონფიგურაციით და გეომეტრიული განზომილებით, ასევე დაარმატურებით, განივი რიგელების ანალოგიაა და გაერთიანებული არიან გადახურვის მონოლითურ ფილებთან.

წარმოდგენილი ჩარჩო-კავშირებიანი მზიდი კარკასული კონსტრუქცია შედგება: შეკრულ დიაფრაგმების ბირთვების მონოლითური სისტემისაგან, რომლებსაც განივი მიმართულებით ემატება მათ მოპირდაპირე ღერძებზე განლაგებული ერთმალიანი დიაფრაგმები.

ადრე წარმოდგენილ პროექტში იყო რიგი შეცდომებისა, რომელთა ჩამონათვალი მოყვანილია ქვემოთ.

კ-25 ნახაზზე მოცემულია გადახურვის მონოლითური ფილა ±0,00 ნიშნულზე. ფილის კონსტრუქციული სისქე 18სმ იყო და ის გაერთიანებულია მონოლითურ რიგელებთან, რომლებიც

ორივე ორთოგონალურ ღერძებზე არიან განლაგებული. ამჟამად წარმოდგენილ შესწორებულ ნახაზებში ფილის სისქე 25სმ-ია და დაყრდნობა ხორციელდება რიგ დიაფრაგმებზე.

ფილის ქვედა ზონის არმირება ამ ნიშნულზე Ф14А500С, ბიჯით 200მმ-ია, ხოლო ზედა ზონის არმირება გასდევს ურთიერთ მართობი რიგელების ღერძებს და არმირდება Ф10А500С, ბიჯით 200მ.

ამჟამად წარმოდგენილ ნახაზებში ფილის სისქე 0.00 ნიშნულზე 25 სმ-ია და შიდა ღერძების გასწვრივ მოწყობილია ფარული მოცულობითი კარკასები ფონური არმირებით.

რაც შეეხება გადახურვის ფილების დაარმატურებას 3.24 ნიშნულიდან 58,32 ნიშნულამდე, აქ ფილები ქვედა ზონაში არმირდებიან Ф8А500С არმატურით, ბიჯით 200მმ და დამატებით კოლონების ირგვლივ Ф10А500С ბიჯით 200მმ.

მოცემულია **კიბის უჯრედების ელემენტების** დაარმატურება, რომლებიც მონოლითური რკინაბეტონისაგან კონსტრუირდება.

მარშები ორია: 9 და 12 საფეხურიანი. მაქსიმალური მალი 6,6მ.

საფეხურების ზომებია 171მმx270მმ. ბეტონის კლასი В25.

კარკასის გარე კედლების შევსება განხორციელებულია მსუბუქი სამშენებლო ბლოკებით მარკით არანაკლებ М-50-სა ქვიშა ცემენტის ხსნარზე, რომლის მარკაც М-50-ია.

ფასადის კედლები იმოსება თბოსაიზოლაციო ფილებით სისქით 50მმ.

ტიხრების წყობა 10სმ სისქის ბლოკებით ხდება.

სახურავი ეწყობა ბრტყელი, რბილი ბურულით, თბოიზოლაციის ფენაზე მოწყობილ მოჭიმვაზე.

შენობა გაანგარიშებულია ინჟ. ი.ტიმჩენკოს მიერ "Lira-Windows" პროგრამული კომპლექსის მეშვეობით სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე, ქარის დატვირთვა 85კგძ/მ^2 და 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

პროექტირების დროს გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

1. ᲡᲜ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა";
2. ᲡᲜ 03.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
3. ᲡᲜ 02.01.08-"შენობებისა და ნაგებობების ფუძეები".
4. СНиП 2.01.07-85^{x} "Нагрузки и воздействия";
5. СНиП 1.02.07-87 "Инженерные изыскания для строительства"

ჩვენს მიერ განხილულ პროექტში შემჩნეული იყო ზოგიერთი უზუსტობა, რომელთა განხილვა და გათვალისწინება ჩვენი აზრით პროექტის ხარისხს გააუმჯობესებდა.

1. პროექტში არმატურის კლასი ნაჩვენები იყო ხან ძველებურად, მაგ: AIII, ხანაც А500С, ამჟამად აღნიშვნა ერთნაირია - А240С და А500С.
2. დიაფრაგმაში 3300მმ-იანი ღიობი ფანჯრისათვის დიდად მიმაჩნია. შესუსტებულია დიაფრაგმა.
3. კ-22 - იგივე „თ-ზ/ვ", უნდა იყოს „თ-ი"/ვ და 3-4/თ. ამჟამად შესწორება შეტანილია.

- დიაფრაგმა „ვ" ღერძზე ასევე შესუსტებულია, უნდა გამოიხაზოს ყველა ზღუდარი (20სმ-იანი და 104სმ-იანი. მივცეთ დეტალი).
- რა სისქისაა დიაფრაგმები. მივცეთ კვეთი.

4. კ-26. არ სჩანს რა ფართზე ვალაგებთ საყრდენ არმატურას. არ არის მიბმული ღერძთან, თუმცა ჩანს ჭრილში.
5. კ-27. საჭიროდ მიმაჩნია გადაიხედოს +3.24 ნიშნულიდან +52,32 ნიშნულამდე ფილების დაარმატურება Ф8AIII არმატურით. კონსტრუქციულად მაინც გაიზარდოს დიამეტრი.
6. კ-31 - საფეხურების ზომები 160მმ+270მმ=430მმ. უახლოვდება საყოველთაო სტანდარტს (Н+В=45სმ).

- კიბის მალის 6600მმ-სათვის h=9სმ და საერთოდ 150მმ ცოტაა. შემოწმდეს, როგორც ექსპლუატაციაში სიმტკიცეზე, ასევე მერხეობაზე.

7. კ-25. აჯობებდა „ვ1" და „დ" ღერძების გადაკვეთაზე კოლონის დასმა. ნაგებობის გრეხვის დროს ჰორიზონტალურ სიბრტყეში კოლონა დაგვეხმარება.
   ნაგებობა კი ნამდვილად დაიგრიხება დიაფრაგმების არასიმეტრიული განლაგების გამო და სიმძიმის ცენტრის და გეომეტრიული ცენტრების აცდენის გამო.
8. პროექტი წარმოდგენილია ძალზე წვრილ მაშტაბში. საჭირო იქნება სამშენებლო მოედანზე A-2 ფორმატი მაინც წარვადგინოთ. მე, მაგალითად ლუპით მომიწია მუშაობა. სამშენებლო მოედანზე კი, ამის საშუალება არ ექნებათ.
9. კოლონებისა და წყობის გადაბმის დეტალები არ არის წარმოდგენილი, თუმცა განმარტებულია განმარტებით ბარათში.

დასკვნა

ქ.თბილისში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ. №10-ში საცხოვრებელი კომპლექსის A, B და C კორპუსების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს შეიძლება მიეცეს საბოლოო საექსპერტო დასკვნა, ზემოთ მოყვანილი შენიშვნების განხილვის და პროექტში გათვალისწინების შემდეგ.

ექსპერტი,

ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,

საქართველოს ექსპერტთა ასოციაციის თავმჯდომარე,

საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,

საქართველოს დამსახურებული მშენებელი მ. ბედიაშვილი

380179
ქ თბილისი
ი. ჭავჭავაძის
გამზირი №17,
ბინა №9

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

"მშენაღდგენა/მ"

მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის, ნაგებობათა მდგრადობისა და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

ტელ. 237-52–46, 238–57–12

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. №10-ში ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის A, B, და C კორპუსების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი 29.02.2016 წ

შ.პ.ს. "იუნიქსი-2"-ის დირექტორს ბატონ ზურაბ ვარსიმაშვილსა და შ.პ.ს "მშენაღდგენა/მ"-ის გენერალურ დირექტორს აკადემიკოს მალხაზ ბედიაშვილს შორის 2015 წლის 12 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. №10-ში ასაშენებელი მრავალ-სართულიანი საცხოვრებელი A, B, და C კორპუსების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს.

შენიშვნები გაეგზავნა დამკვეთს, რაზედაც მიღებულია პასუხები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის №1-1/823 ბრძანების შესაბამისად, ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. №10-ში ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის A, B, და C კორპუსების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

გენარული დირექტორი,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში მ. ბედიაშვილი

სახელმწიფო ლიცენზია

სერია № 1520

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განსორციელებაზე

ეძლევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მშენებელი"

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა უვადო

ლიცენზია გაცემულია 18.04.2000წ.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის
მინისტრი მ. ჩხენკელი

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაში
სლე № 1520 სახელმწიფო ღირებულების
ღანართი

ჩამონათვალი

საპროექტო — სამშენებლო საქმიანობის სახეებისა, რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა შპს-ს "მშენაღდგენა"

1. *საინჟინრო-საძიებო სამუშაოები:*
   - საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები;
   - შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.
2. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საწოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება:*
   - საცხოვრებელი სახლები;
   - საწოგადოებრივი შენობები და ნაგებობები;
   - საკულტო ნაგებობები.
3. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - სამრეწველო ობიექტები;
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები;
   - სპეციალური ნაგებობები (სიერცითი ნაგებობები, ანძები, საკვამლე მილები, რეზერვუარები და სხვა).
4. *პროექტების ექსპერტიზა.*
   - საბინაო, სამოქალაქო, საწარმოო და საკულტო დანიშნულების ობიექტების არქიტექტურულ-კონსტრუქციული და სახარჯთაღრიცხვო ნაწილები.
5. *ისტორიის და კულტურის ძეგლების კონსერვაცია, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია და ადაპტაცია:*
   - პროექტირება;
   - მშენებლობა.
6. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საწოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები:*
   - საცხოვრებელი სახლები;
   - საწოგადოებრივი შენობები და ნაგებობები;
   - საკულტო ნაგებობები.

სალიცენზიო მუდმივმოქმედი
კომისიის თავმჯდომარე მ. ნიკოლაიშვილი

CERTIFICATE

OF COURSE GRADUATE

Issued:
November 9, 2006
Prague, Czech Republic

BEDIASHVILI
Malhaz

Specialization subjects:

- construction and forensic expertise
- construction expertise in EU
- appraisal of the real estate according to EU standards

KOMORA SOUDNÍCH ZNALCŮ ČR
Prosecká 74/412
190 00 Praha 9 - Prosek

Ing. Jindřich KRATĚNA CSc.
Czech Chamber of Forensic Experts

Prof. Ing. Zdeněk BITTNAR DrSc.
Dean of FSV ČVUT PRAHA

EXPERTS ASN CONSULTANS

ASN Experts & Consultans s.r.o.
Vodičkova 30/699, Praha 1
PSČ: 110 00
IČO: 26486148, DIČ: CZ26486148

Dr. Sergey ZAKHAROV, Director
ASN Experts & Consultans

ČESKÉ VYSOKÉ UČENÍ TECHNICKÉ V PRAZE
FAKULTA STAVEBNÍ
166 29 Praha 6, Thákurova
IČO: 68407700

Ing.Vladimir VÁCHA
Director of the Institute of

CERTIFICATE

of attendance

acknowledging

Mr Malkhaz Bediashvili

"Mshenaghdgena/M" Ltd.

has participated in

business week

Architectural-Construction Week in Tokyo

organised by Kingshill Media Group

27 May - 3 June 2007

Eugene Doubard
Managing Director
Kingshill Publications Ltd

3 June 2007
Tokyo, Japan

РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ

УДОСТОВЕРЕНИЕ

О КРАТКОСРОЧНОМ ПОВЫШЕНИИ КВАЛИФИКАЦИИ

Настоящее удостоверение выдано Бедиашвили
(фамилия, имя, отчество)
Малхазу Александровичу

в том, что он(а) с „29" мая 2006 г. по „03" июня 2006 г.

прошел(а) краткосрочное обучение в (на) институте повышения квалификации
(наименование
и переподготовки специалистов Петербургского государственного университета
образовательного учреждения (подразделения) дополнительного профессионального образования)
путей сообщения

по программе: "Обследование, проектирование и экспертиза зданий и сооружений; оценка качества"
(наименование проблемы, темы, программы дополнительного профессионального образования)

в объеме 72 часа
(количество часов)

Удостоверение является государственным документом о краткосрочном повышении квалификации

Регистрационный номер 655/V

Город Санкт-Петербург Год 2006

Ректор (директор)

Секретарь

Федеральное агентство железнодорожного транспорта. Федеральное государственное образовательное учреждение высшего профессионального образования. Петербургский государственный университет путей сообщения. М.П.

Certificate

of attendance

acknowledging

Mr Malkhaz Bediashvili

Mshenagdgena/M Ltd

has participated in

Architectural and Design Week in London

organised by Kingshill Media Group

20 - 26 April 2009

KINGSHILL

Mr. Eugene Doubovol
Managing Director
Kingshill Media Group

26 April 2009
London, UK

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16085865, 06/06/2016 12:02:37

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მშენაღდგენა/მ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205202332
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	18/04/2007
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ი.ჭავჭავაძის გამზ., № 17, ბინა № 9

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01008015081, მალხაზ ბედიაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01008015081, მალხაზ ბედიაშვილი	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge